საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა

მინისტრის ბრძანება №26

2010 წლის 5 თებერვალი

ქ. თბილისი

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის ბრძანება №41 - ვებგვერდი, 01.04.2014 წ.

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ივნისი N275 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვბრძანებ:

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის ბრძანება №41 - ვებგვერდი, 01.04.2014 წ.
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №174 - ვებგვერდი, 04.01.2016 წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების თანდართული წესი.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის ბრძანება №41 - ვებგვერდი, 01.04.2014 წ.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხ. კალმახელიძე

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის ბრძანება №41 - ვებგვერდი, 01.04.2014 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი შემუშავებულია „ მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით დამტკიცებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – პრობაციის ეროვნული სააგენტო) მიერ შესადგენი საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების (შემდგომში – ოქმი) გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესს.

2. პრობაციის ერვნული სააგენტო ოქმის გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და ამ წესის საფუძველზე.

3. ამ წესში მოცემული ცნებები გამოიყენება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობით.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის ბრძანება №41 - ვებგვერდი, 01.04.2014 წ.

მუხლი 2. ოქმის მომარაგება და გაცემა

1. ოქმების მომარაგებას ახორციელებს პრობაციის ეროვნული სააგენტო დამოუკიდებლად.

2. პრობაციის ეროვნული სააგენტო ოქმის შეკვეთას აწარმოებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პოლიგრაფიულ საწარმოში,

ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.

3. პოლიგრაფიული საწარმოდან ოქმის გამოტანის უფლება აქვს პირს, რომელსაც გააჩნია სათანადო მინდობილობა.

4. პრობაციის ეროვნული სააგენტოდან ოქმის გაცემა პრობაციის ბიუროს უფროსებზე ხორციელდება შესაბამისი ბიუროს უფროსის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ოქმების გაცემა უფლებამოსილ პირებზე აღირიცხება პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის აღრიცხვის ჟურნალში (დანართი №1), რომელიც უნდა იყოს დანომრილი, აკინძული და ბეჭედდასმული.

მუხლი 3. ოქმის შენახვა

1. ოქმის შენახვა ხორციელდება ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5-მე-7 პუნქტების შესაბამისად.

2. ოქმები ინახება მის გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთან, რომელსაც განსაზღვრავს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი.

3. სათავსო, სადაც ინახება ოქმი, უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 24 თებერვლის ბრძანება №31 -სსმ III, №23, 26.02.2010წ; მუხ.314

მუხლი 4. ოქმის შევსება

1. მკაცრი აღრიცხვის თითოეული ოქმის შევსება ხორციელდება შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე.

2. შევსებული ოქმის შესახებ ინფორმაცია ოქმის გამცემს შეაქვს სპეციალურ რეესტრში.

მუხლი 5. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმების ჩამოწერა

1. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ჩამოწერა შეიძლება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომების გამო;

ბ) ოქმის დაზიანების გამო.

2. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმი ექვემდებარება ჩამოწერას ჩამოწერის აქტის (დანართი 2) შესაბამისად. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ექსკლუზიური ნუმერაცია შეტანილ უნდა იქნეს ოქმის ჩამოწერის აქტში.

3. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის უტილიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.